

დამტკიცებულია ა(ა)იპ პროფესიული მომზადება-გადამზადების ცენტრის  
დირექტორის 2020 წლის 17 თებერვლის N8 ბრძანებით

## პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველ აპლიკანტთა შერჩევის, მსმენელის სტატუსის მინიჭების და შეწყვეტის წესი

### მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველ აპლიკანტთა შერჩევის, მსმენელის სტატუსის მინიჭების და შეწყვეტის წესი (შემდგომში - „წესი“) ითვალისწინებს ა(ა)იპ მომზადებისა და გადამზადების ცენტრი „ფერმერთა სკოლა“ (შემდგომში - „სკოლა“) პროფესიული მომზადების პროგრამასა და პროფესიული გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველი აპლიკანტის შერჩევას, მსმენელის სტატუსის მინიჭებასა და შეწყვეტასთან დაკავშირებულ საკითხებს.

2. ამ წესის მიზნებისთვის:

ა) აპლიკანტი არის პირი, რომელიც იღებს მონაწილეობას სკოლის მიერ გამოცხადებულ შერჩევის პროცედურაში, პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნით;

ბ) მსმენელი არის პირი, რომელსაც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესისა და ამ წესის შესაბამისად, მინიჭებული აქვს მსმენელის სტატუსი და სწავლობს სკოლის პროფესიული მომზადების პროგრამაზე ან პროფესიული გადამზადების პროგრამაზე.

### მუხლი 2. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე რეგისტრაციის გამოცხადება

1. სკოლის პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე აპლიკანტთა რეგისტრაცია ცხადდება ელექტრონული სისტემის (შემდგომში - „ელექტრონული სისტემა“) მეშვეობით, რომლის ადმინისტრირებასაც ახორციელებს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა.

2. სკოლა პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე რეგისტრაციას აცხადებს ღია ან დახურული წესით, „პროფესიული მომზადების პროგრამაზე და პროფესიული გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის წესის და პირობების დამტკიცების



შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის N71/ნ ბრძანებით დადგენილი წესის მიხედვით.

3. ღია წესით რეგისტრაციის გამოცხადების შემთხვევაში ელექტრონულ სისტემაში განთავსებული ინფორმაცია საჯარო და ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის.

4. დახურული წესით რეგისტრაცია ცხადდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სკოლას აქვს ხელშეკრულება გაფორმებული სხვა იურიდიულ პირთან ან ადმინისტრაციულ ორგანოსთან, რომლის ფარგლებშიც უნდა უზრუნველყოს პირთა გარკვეული წრის პროფესიული მომზადება/პროფესიული გადამზადება.

**მუხლი 3. აპლიკანტთა რეგისტრაცია**

1. აპლიკანტი პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადებისპ როგრამაზე რეგისტრაციისათვის გადის ავტორიზაციას სპეციალურ ვებგვერდზე დარეგისტრირდება ელექტრონული განაცხადის მეშვეობით ან მიმართავს შესაბამის იურიდიულ პირს, რომელიც რეგისტრაციას ახორციელებს ელექტრონული სისტემის გამოყენებით. რეგისტრაციის დახურული წესით გამოცხადების შემთხვევაში, აპლიკანტთა პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე რეგისტრაციას ახორციელებს იურიდიული პირი ელექტრონული სისტემის გამოყენებით.

2. აპლიკანტი ელექტრონულ სისტემაში რეგისტრირდება „პროფესიული მომზადების პროგრამაზე და პროფესიული გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის წესის და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის N71/ნ ბრძანებით დადგენილი წესის მიხედვით.

**მუხლი 4. აპლიკანტთა შერჩევა**

1. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველ აპლიკანტთა შერჩევა ხორციელდება სკოლის მიერ, ამ წესის შესაბამისად. სკოლა შერჩევის პროცედურის დაწყებამდე არანაკლებ 3 სამუშაო დღით ადრე აპლიკანტს აწვდის ინფორმაციას შერჩევის პროცედურის შესახებ, შესაბამისი ვადების მითითებით.

2. აპლიკანტთა შერჩევა ხორციელდება გასაუბრების საფუძველზე.

3. აპლიკანტთ აშერჩევის მიზნით, სკოლის დირექტორის ბრძანებით ქმნის კომისიას (შემდგომში - „კომისია“). კომისია უნდა შედგებოდესა რანაკლებ 3 წევრისგან, რომლის შემადგენლობას განსაზღვრავს სკოლის დირექტორი.

4. კომისია უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუ სხდომას ესწრება კომისიის წევრთა უმრავლესობა.

5. გასაუბრების ჩატარებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში გასაუბრებაზე მიღებული შედეგების მიხედვით, კომისია ადგენს პროგრამაზე ჩარიცხვის უფლების მქონე პირთა სავარაუდო სიას.

6. გასაუბრებაზე მიღებული შედეგის გასაჩივრება შესაძლებელია აპლიკანტის მიერ სკოლის დირექტორისადმი არგუმენტირებული წერილობითი განცხადების საფუძველზე, გასაუბრების შედეგების გამოცხადებიდან 5 კალენდარული დღის ვადაში;



7. განცხადების საფუძველზე, სკოლის დირექტორის ბრძანებით იქმნება სააპელაციო კომისია, რომლის შემადგენლობასაც განსაზღვრავს სკოლის დირექტორი.
8. სააპელაციო კომისია გადაწყვეტილებას განაცხადის დაკმაყოფილების ან განაცხადის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ იღებს განცხადების შემოსვლიდან 5 კალენდარული დღის ვადაში.
9. სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში დგება პროგრამაზე ჩარიცხვის უფლების მქონე პირთა საბოლოო სია, რომლიც წარედგინება სკოლის დირექტორს.
10. სკოლის დირექტორი, სააპელაციო კომისიის ოქმის საფუძველზე, უზრუნველყოფს აპლიკანტებისთვის პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის უფლების მქონე პირის სტატუსის მინიჭებას.
11. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული პროცედურის დასრულებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში, იურიდიული პირი, ელექტრონული სისტემის მეშვეობით, უზრუნველყოფს აპლიკანტისთვის პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის უფლების მქონე პირის სტატუსის მინიჭებას.

#### **მუხლი 5. პროგრამაზე ჩარიცხვის უფლების მქონე აპლიკანტის მიერ წარსადგენი დოკუმენტაცია**

1. სკოლა აპლიკანტისთვის პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის უფლების მქონე პირის სტატუსის მინიჭების შემდეგ აპლიკანტს განუსაზღვრავს 5 სამუშაო დღეს შემდეგი დოკუმენტების წარმოსადგენად:
  - ა) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (არასრულწლოვანი აპლიკანტის შემთხვევაში ასევე კანონიერი წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი);
  - ბ) განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი.

#### **მუხლი 6. მსმენელის სტატუსის მოპოვება**

1. ჩარიცხვის უფლების მქონე პირი ვალდებულია სკოლის მიერ დადგენილ ვადაში წარადგინოს სკოლის მიერ მოთხოვნილი დოკუმენტაცია.
2. ამ წესის მე-6 მუხლით გათვალისწინებული დოკუმენტების წარმოდგენის შემდეგ 3 სამუშაო დღის ვადაში სკოლის დირექტორი უზრუნველყოფს ჩარიცხვის უფლების მქონე პირისთვის მსმენელის სტატუსის მინიჭებას, რაც დასტურდება აღნიშნულ პირთან ან მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული სასწავლო ხელშეკრულებით.
3. ინფორმაციას მსმენელის სტატუსის მინიჭების შესახებ ელექტრონულ სისტემაში/ელექტრონულ ბაზაში სკოლის დირექტორის მიერ განსაზღვრული პირი ასახავს შესაბამის პროფესიულ მომზადების/პროფესიულ გადამზადების პროგრამაზე სწავლის დაწყებამდე;
4. ჩარიცხვის პროცესის დასრულების შემდეგ თავისუფალი ადგილების არსებობის შემთხვევაში, სკოლა უფლებამოსილია დაუკავშირდეს იმ აპლიკანტებს, რომლებიც რეგისტრირებულნი იყვნენ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების



პროგრამაზე, მაგრამ კონკურსის გამო ვერ მოხვდნენ ჩარიცხვის უფლების მქონე პირთა სიაში. სკოლა ვალდებულია ამ კატეგორიის პირთათვის მსმენელის სტატუსის მინიჭება, ხელშეკრულების გაფორმება და ელექტრონულ სისტემაში ასახვა უზრუნველყოს შესაბამის პროგრამაზე სწავლის დაწყებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღის ვადაში.

5. მსმენელთან ფორმდება სასწავლო ხელშეკრულება, რომელშიც გაწერილია მსმენელის უფლება-მოვალეობები და სხვა დამატებითი მოთხოვნები.

6. იმ შემთხვევაში, თუ მსმენელი არის არასრულწლოვანი, სასწავლო ხელშეკრულებაზე ხელს უნდა აწერდეს მისი მშობელი ან სხვა კანონიერი წარმომადგენელი. ასეთ შემთხვევაში, წარმომადგენლობა უნდა დასტურდებოდეს შესაბამისი დოკუმენტით.

7. მსმენელთან გაფორმებული ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მას უწყდება მსმენელის სტატუსი, რაც სკოლის მიერ ასახება ელექტრონულ სისტემაში/ელექტრონულ ბაზაში 3 სამუშაო დღის ვადაში.

### **მუხლი 7. მსმენელის სტატუსის შეწყვეტა**

1. მსმენელის სტატუსის შეწყვეტა ნიშნავს სკოლისა და მსმენელის გათავისუფლებას თავიანთი უფლება-მოვალეობების შესრულებისგან, მსმენელის სტატუსის აღდგენის უფლების გარეშე.

2. მსმენელის სტატუსის შეწყვეტა ხორციელდება მხარეთა შეთანხმებით ან სკოლის დირექტორის ბრძანებით, ამ მუხლში გათვალისწინებული საფუძვლების არსებობის შემთხვევაში.

3. მსმენელის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია:

ა) პირადი განცხადება;

ბ) პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის დასრულება;

გ) ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა;

დ) მსმენელის მიმართ სისხლის სამართლის საქმეზე გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში იშესვლა;

ე) სკოლისთვის ისეთი ყალბი დოკუმენტის ან არასწორი ინფორმაციის წარდგენა ან ისეთი ინფორმაციის წარუდგენლობა, რაც გავლენას იქონიებს და მსმენელის ჩარიცხვის შესახებ დადებითი გადაწყვეტილების მიღებაზე;


ვ) სწავლის შედეგის ვერ დადასტურება „პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე მსმენელის შეფასების წესით“ დადგენილი პირობების შესაბამისად;

ზ) საქართველოს კანონმდებლობითა და სკოლის შიდა მარეგულირებელი დოკუმენტაციით დადგენილ სხვა შემთხვევები.

3. მსმენელის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში, მისი ხელახლა მოპოვება დასაშვებია საქართველოს კანონმდებლობითა და სკოლის მარეგულირებელი აქტებით დადგენილი ესით.

### **მუხლი 8. დასკვნითი დებულებები**

1. წინამდებარე წესი ამოქმედდეს დამტკიცების დღიდან.



2. წესის გაუმჯობესება, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა განხორციელდება სკოლის დირექტორის ბრძანებით.